დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი: 2000 (ორიათასი) ლარი.**
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში – 70 ლარი.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი.:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი